ᲑᲘᲡᲐᲣ. **გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჟ. ვიეირამ მკაცრად დაგმო დასავლეთის პროპაგანდის პროფოკაციული კამპანია, რომელიც ეორს ყრის, თითქოსდა ქვეყანაში მომზადდაოდეს სახელმწიფო გადატრიალების ცდა.**

დედაქალაქის პარტიული კომიტეტებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გამოსულებისას სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ გვინეელი ხალხის მტრები მზანია ძირი გამოუთხარონ ეროვნულ ერთიანობას, შეღლი ჩამოგდონ ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. დასავლელ დეზინფორმატორები ცდილობენ დედაჩვენონ გვინეა-ბისაუს ხალხს არეულ ეზოდან „ხანძარსაწინააღმდეგო“ ღონისძიებანი, ხოლო მეორე მხრივ კი, რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობს „ბოსს მოიყვანოს“ მოკავშირენი და ისინი თავისა პოლიტიკის რიგითს სტატისტებად აქციოს.

უკანასკნელ პერიოდში თეთრ სახლს განსაკუთრებით საბჭოთა კავშირ-დასავლეთ ევროპის ეკონომიკური კონტაქტების გაფილერება აღიზიანებს. მას შემდეგ, რაც ბონმა და პარიზმა ყურად არ იღეს ოკეანისგადმელთა რჩევა-დარიგება, გაფრთხილება და ცუდად შენიშნეთო შეეპარაც კი და ხელი მოაწერეს ორი სისტემის ეკონომიკურ ურთიერთობაში ყველაზე გარანდიოზულ „გაზ-მილების“ კონტრაქტს, ოფიციალურმა ვაშინგტონმა და ამერიკის მემარჯვენე პრესამ „გამოიტირა“ დასავლეთი ევროპა როგორც საბჭოთა „ეკონომიკური ბაფანგის მსხვერპლი“. 1984 წლის დამლევს მწყობრში ჩადგება გაზსადენი და ყოველწლიურად საფრანგეთი მიიღებს 8 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს, დასავლეთ გერმანია — 10,5 მილიარდს, იტალია — 8,5 მილიარდს და ა. შ. ვაშინგტონის გაფრთხილებაზე, საბჭოთა კავშირმა, შეიძლება გაზსადენი მომავალში პოლიტიკური მიზნებით გამოიყენოსო, ევროპიდან შვედიდან უპასუხეს, რომ კონტრაქტი ორივე მხარისათვის ერონთანად ხელსაყრელია და საბჭოთა კავშირმა წლების მანძილზე უკვე დიმკვიდრა პატიოსანი და კეთილსინდისიერი პარტნორის რეპუტაცია. საბჭოთა პროფკავშირების XVII ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამომწურავად დაახასიათა ეკონომიკური კონტაქტების საკითხებისადმი მოკავშირეთა მიდგომა.

მაინც რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა გაზს დასავლეთ ევროპასთვის? ევროპელი პრესის მონაცემებით, 1980 წელს დასავლეთ ევროპის ენერგეტიკულ ბალანსში ნავთობი შეადგენდა 51,3 პროცენტს, ხოლო ბუნებრივი გაზი — 14,7 პროცენტს. დასავლეთ გერმანელი კომპანია „რურგაზის“ მონაცემებით, საუკუნის დამლევისათვის ნავთობის ხვედრითი წილი შემცირდება 35,1 პროცენტამდე, ხოლო გაზისა კი გაიზრდება 16,2 პროცენტამდე. ეს ციფრები, უბრალოდ ყოვლისა, ასაბუს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას შეასუსტონ ნავთობის იმპორტზე თავიანთი დამოკიდებულება. ნავთობის იმპორტის საკითხში კი ასეთი სურათია — იმავე საფრანგეთმა გასულ წელს 102 მილიონი ტონა ნავთობი დაბარჯა და აქედან 100 მილიონი ტონა იმპორტირებული იყო. დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობა აქვთ სხვა ევროპელებსაც. ყოველივე ამას ის გარემოებაც ემატება, რომ ზემოხსენებული დამლაგი შეუძლიათ. ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას გვაძლევს „მეერიული ეუერნალს „ფორრუნს“ ინიციატივით მოწყობილი „მრგვალი მაგიდა“ დასავლეთ გერმანიის წამყვანი ბიზნესმენებისა და მეცნიერების მონაწილეობით. აი, რა განაცხადა ამ შეხვედრაზე საგარეო-პოლიტიკურ პრობლემათა შემსწავლელი საზოგადოების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ალბერტ ბინდერ:

„ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ ᲩᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲙᲝᲠᲓᲘᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗᲐᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ“.

ᲐᲠᲘᲖᲝᲜᲐ. **ᲙᲕᲔᲧᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲝ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.** ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. **ᲙᲕᲔᲧᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.** ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. **ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.**

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. **ᲙᲕᲔᲧᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.** ᲛᲘᲗᲘᲜᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ.

ᲛᲐᲠᲘᲚᲝᲜᲓᲝ. **ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამბ. მიხეილ ივანეს ძე **ბუსიგინი** დანიშნა სსრ კავშირის ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამშავებელი მრეწველობის მინისტრად.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა ამბ. **ი. გ. სატიაშვილი** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ უფროსად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნისტური აღზრდის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუნისტური აღზრდის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ანატომიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ანალიზის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის ასისტენტად.

ალექსანდრ ალექსანდრეს ძე ბოჩორიშვილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ინფორმაცი

დღევანდელი ნომრის სტუმარი



„მაშ, კიდევ ერთხელ გამიზავზულდი!"

აი, კაცი — გაუტეხელი. თავისი ცხოვრების მანძილზე სიხარულიც ბევრი უნახავს და სიკვნეც. მაგრამ ძირნმრავე ბევრი აგემა მუხთალმა ნუთისოფელმა... მაინც მხნედ ხვდება სამოდამეთხუთმეტე გაზაფხულს კარლო კალაძე — მხცოვანი ქართველი პოეტი.

— ბედს არ უნდა შეურიგდე, უნდა ერკინო ცხოვრებას. აი, რაგომ არის ჩემთვის უსაყვარლესი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, მისი მრწამსი, მისი სინათლე... ბევრი რამ გადავიტანე, პოეზია მაინც დარჩა ცხოვრების მიზნად. აი, ნახეთ სრულიად ახალი ლექსი, ჩემს ამ დღეებში გამოსულ ორტომეულში რომ შეეიტანე: „ვიღიმი, თუნდაც ატყდეს კამათი, მჯერა ფიც-ვერცხლი კვლავაც ამისა: ვიტყვი, მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამოეტეხეთ ბნელი ღამისა! ცის ელვამ ციხის ქვა ჩაარღვია, გაცვდა ფარ-ხმალი, გაცვდა ჩაფხუტი — დღეო, სიცოცხლეც ხომ ამას ჰქვია — მაშ, ერთხელ კიდევ გამიზაფხულდი!"

...პოეტის სამუშაო ოთახის კედლებს ამშვენებს ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის, ლევან ცუცქირიძისა და თენგიზ მირზაშვილის, რობერტ სტურუას და ვახტანგ ონიანის ფერწერული ტილოები, ირაკლი ონიაურისა და კობა გურულის ოქრომჭედლობა, და, რაღა თქმა უნდა უძვირფასესი განძეული — მეუღლის თამარ აბაკელიას და ვაჟიშვილის — ადრე წასული ნიჭიერი მოქანდაკის გულდა კალაძის ნამუშევრები.

— გამიგია, რომ თქვენც არ ხატავდით ურიგოდ, პატივცემულო კარლო...

— მე მოყვარული დავრჩი ბოლომდე. კი, ვხატავდი, მაგრამ, როგორც ყოველ საქმეში, მხატვრობაშიც პროფესიონალიზმია საჭირო, ისე, სხვათა შორის, რას გახდები. მე მაინც პოეზიას გავყევი...

დედა ყოფილა ლექსისა და სიმღერის მოყვარული, პირველი მუშა-ქალი სამტრედიის ძაფსაღები ფაბრიკისა. შვილთან ერთად შეუსწავლია ანბანი და შემდეგ წერილებს აგზავნინებდა შორეულ ჩრდილოეთში გადასახლებულ მეუღლესთან. თანდათან ბარათები ლექსებად დაუწერია შვილს მამისთვის და ასე მინდობია ქართული სიტყვის ძალასა და სილამაზეს.

— მამაჩემი რაოდენ კალაძე კი პროფესიონალი რევოლუციონერი და საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი იყო. ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ გამოჩენილ ადამიანებთან, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას რომ სწირავდნენ თავს. ალბათ, საინტერესო იქნება თქვენთვის: გაზეთი „კომუნისტის" დაარსებისთანავე მამაჩემი მისი სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, აქტიურად მონაწილეობდა სარედაქციო საქმიანობაში. მან დაუბეჭდა პირველი ნაწარმოებები ბევრ, შემდეგ უკვე სახელმოხვეჭილ მწერალს.

— თუ არ ვცდები, მგონი, თქვენც, არა?

— არა, მამას არ დაუბეჭდია, მამია ორანელაშვილმა დაბეჭდა 23 ივნისის ნომერში. დღესაც საამაყოდ მაქვს, რომ ქართველ პოეტთაგან ერთ-ერთი პირველი, მე დავიბეჭდე „კომუნისტში".

შემდეგ უკვე ხშირად ვიბეჭდებოდი „ახალგაზრდა ლენინელში", „სპარტაკში". გავბედე და ჰოემაც დავწერე „ოცდაორი ათასი" — კომკავშირელთა საქმიანობას ეძღვნებოდა.

ამონაწერი სხრ კავშირის მწერალთა კავშირისა და ქართული ლიტერატურის საბჭოს მისალმებიდან:

— ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თქვენი მგზნებარე ხმა, ხმა პოეტი მოქალაქისა, ინტერნაციონალისტისა ახარებს თქვენი ნიჭის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს და მათ გულში სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის მაღალ გრძნობებს აღვიძებს.

თქვენ რევოლუციურ-ბოლშევიკურ ოჯახში აღიზარდეთ და კიდევაც ამღერეთ მისი დიდებული ტრადიციები ლექსებში, ჰოემა „მამაში", რომელიც ფესანიშნავად თარგმნა რუსულ ენაზე თქვენმა მეგობარმა კ. სიმონოვმა. თქვენს ნაწარმოებებს სიყვარულით თარგმნიდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი და სხვები.

ინტერპიუდან, რომელიც თბილისში უკანასკნელად ყოფნის დროს ჩაწერეთ ირაკლი სიმიონოვს და შემდეგ აღარ დაბეჭდილა:

— კარლო კალაძის პოეზიაში ძალუმად იგრძნობა მშობლიური ენის სიყვარული, ჩვენი დღეების მჩქეფარება. ეს არის ფიქრები ადამიანისა, თავისი ხალხის ფიქრებს რომ გადაესაკვა, აუმღერებია მისი ნარსული, მისი დღეგანდელობა და მომავლის დიდი იმედით აავსებულა. ნაწარმოებში ხომ ავტორი იგრძნობა უპირველესად. ლექსების უმრავლესობა საოცრად „ამხელს" კარლო კალაძეს და მას წარმოგვიდგენს სიცოცხლისა და მეგობრობის მოყვარულს, შუბლგახსნილსა და ოპტიმისტს.

— პატივცემულო კარლო, თქვენ რამდენიმე ცხობილი დრამატული ნაწარმოების ავტორიც ბრძანდებით.

— დიახ, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრში სხვადასხვა დროს ჩემი შვიდი პიესა დაიდგა. ესენი იყო „როგორ", „ხატიჯე", „სახლი მტკვრის პირას" და ა. შ. ხომ წარმოგიდგენიათ: 18-19 წლის ყმაწვილი თეატრის დირექტორად ნამიყვანა კოტე მარჯანიშვილმა.. ეჰ, რა დღეები იყო!..

კარლო კალაძის ბევრი ლექსი სიმღერად იქცა, ხალხმა მეიყვარა შრომისა თუ ლხინის ჟამს.

— არ დავფარავ, მიხარია, რომ ზოგიერთი ჩემი ლირიკული ლექსი პოპულარულ სიმღერად იქცა. ეჭვს და წუხილს ღიმილი მიწდა მოერიოს — თავაღებული როდი დავდიოდი ჩემს მიწა-წყალზე, დროისა და ხალხის ნაკვალევს მეც ვამჩნევდი, მეც ვხატავდი, და ჩემი საკარეთველოც თუ იგივეა, რაც ჩემი დროის დიდი სინამდვილე — და თუ ამ ქართულს თავისი ხვედრითი ძალა აქვს, — რაღაცნაირად საკუთარი სიცოცხლე და სიყვარულიც დამიხატავს... რადგან ყოველი მხატვრული ნაწარმოები რაგინდ ეპიკური თხრობისათვის იყოს განზომილი — მაინც ლირიკაა...

— საინტერესოა თქვენი აზრი ქართულ სიმღერაზე...

— აბა, ვინ არ ეთაყვანება მის პარმონიასა და პოლიფონიას. და მაინც გამორჩეული ბოლო ნაკო სულხანიშვილი, მისი „გუთნური", „სამშობლო ხევსურისა", „დიიგვიანეს"... ამ სიმღერებში ყველაფერია გამხელილი: ტკივილიც და სიხარულიც, ვაკაცობაცა და იმედიც...

• • •

მისი პირველი წიგნი 1926 წელს გამოსულა. შემდეგ, ცხოვრების ყოველ ახალ წელიწადს, თითქმის ყოველთვის, ახალი წიგნით აღნიშნავდა. პირველი დიდი აღიარება კარლო კალაძეს ფერეიდნელი ქართველებისადმი მიძღვნილმა ლექსმა და პოემა „უჩარდინმა" მოუტანა. ეს იყო პოეტის პირველი ცდა ცხოვრებაში ღრმად შეჭრისა.

კარლო კალაძის შემოქმედებაზე საუბრისას ყოველთვის გამოპაჭიფენ „მთების ეპოსს" — ოთხნაწილიან სიმფონიური ხასიათის პოემას და „ხერთვისის განთიადებს", რომელშიც ჩვენი ისტორია ისევეა ნაგულისხმევი ერის მაცოცხლებელ ენერგიად, როგორც თვით დღევანდელი ცხოვრების სიახლე. უფრო გვიან კი აუცილებლად უნდა ვახსენოთ „ჩემი დღისა და ღამის წიგნი" — მშვენიერი ლექსებითა და პოემებით.

• • •

ხალხის მსახური ყოველ დაბადების დღეზე, ბუნებრივია, ჯერ განვლილი ცხოვრების გზას გახედავს და იმაზე დაფიქრდება, თუ რა შემატა თავისი არსებობით სოფელ-ქვეყანას, რა ტვირთი აიტანა აღმართზე. პოეტისათვის ასეთი დღეები ხვანლდელზე ფიქრი, უკეთესის შექმნის სურვილი იყო. ასეა სამოცდამეთხუთმეტე გაზაფხულზეც: „თოვლი მოსულა? — ვიმეორებ და უნებურად ვშობ არ მითხრან: დალეთო�elია, დაბერებულა! გაკუკუნდები და იმედიც მაქვს ამ გულისა — თოვლქვეშ ყოველთვის სიჩუმეა გაზაფხულისა...".

3. მარდალეიშვილი.

ROCA DIALOGI GULAXDILIA

მაუურებელმა მოიწონა და გულთან ახლოს მიიტანა საქართველოს ტელევიზიის მრავალი გადაცემა, რომლებშიც შესანიშნავად იგრძნობა დროის მაჯისცემა, მიზნის სიცხადე და მიმართულება, ნათლად არის წარმოჩენილი პარტიის პოლიტიკა და მისგან გამომდინარე ჩვენი ამოცანები.

ასეთი გადაცემები მაყურებელს შეუმჩნეველი არ რჩება და ისინი მოდან ცხოველ ინტერესს იწვევენ.

ამჯერად გვინდა ვისაუბროთ ორ გადაცემაზე, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინათ ნახა ჩვენმა ტელემაყურებელმა.

პირველყოფილისა, ისინი იმით გამოირჩევი, რომ პირდაპირ იძლევა პასუხს საკითხებზე, რომლებიც დღეს ყოველ ჩვენთაგანს ალელვებს.

ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბოლო ხანს დასახული ღონისძიებები ახლა სწორად განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. „საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და მელიორაციის კომპლექსის მართვის სრულყოფის შესახებ" სანქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჭეშმარიტად ახალი ეტაპი დაიწყო რესპუბლიკის ცხოვრებაში. აბაშისა და შემდგომ მახარაძის რაიონების გამოცდილება, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მართვის გაერთიანებას კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად დაქვემდებარებოდა მათი დამხმარე სხვა უწყებების საწარმოები, მთელი რესპუბლიკის კუთვნილება გახდა. საქართველოს სს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში პირველი გადავიდა სოფლის მეურნეობის მართვის ამ ახალ მეთოდზე და, ბუნებრივია, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ამიტომ საგსებით დროულად მიუძღვნა საქართველოს ტელევიზიამ ამ საკითხს საგანგებო გადაცემა ციკლიდან „სტუდია-დიალოგი". ამჯერად ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გ. მგელაძე და საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. სანებლიძე.

გადაცემაში, რომელიც სულ ორმოცდაათ წუთს გაგრძელდა, ტელემაყურებელმა ამომწურავ პასუხი მიიღო ყველა იმ საკითხზე, რომლებიც კონკრეტულად უკავშირდება აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის პრობლემებს, ადამიანთა მატერიალური და მორალური სტიმულირების მეთოდს, იმ ამოცანებს, სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რომ დაისახა.

საუბრისთვის გულდასმით შერჩეულმა საკვანძო შეკითხვებმა, ანაზის ექსპერიმენტის ხელმძღვანელისა და ამჟამად სოფლის მეურნეობის მინისტრის გ. მგელაძისა და ამჟამად სოფლის მეურნეობის საქმიანმა პასუხმა დიალოგს სრული დამაჯერებლობა მიანიჭა და, უეჭველია, ტელემაყურებელს ნათელი წარმოდგენა შეუქმნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სრულყოფისა და აღმავლობის უახლოეს პერსპექტივაზე.

გადაცემაში კონკრეტულად იყო ლაპარაკი, იმაზე, რა გზით უნდა გავადიდოთ მარცვლეულის მოსავალი, რა სიახლეთა დანერგვა შეიძლება მევენახეობაში მატერიალური სტიმულირების მეთოდის სრულყოფისათვის, რა წვლილი შეაქვთ მელიორატორებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუჯეტისათვის ბრძოლაში, რაზე მუშაობენ ჰიბრიდ მიწათმოქმედების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები და ა. შ.

ჭეშმარიტად სადღეისო საჭიროროკონ საკითხებია.

ამ დღეებში მაყურებელმა იხილა საქართველოს ტელევიზიის კიდევ ერთი საინტერესო გადაცემა ციკლიდან „გუთნოჭოს გულაზიდ". ნაჩვენები იყო ახალგაზრდობის შეხვედრა ცნობილ ლეონენრი პროგრამის ლაურეატის ნოდარ ფანჯიკიძესთან. რუსთაველის პრემიის ლაურეატის გ. ფანჯიკიძის ნაწარმოებებს დიდი ინტერესით კითხულობენ ჩვენი ქალაშვილები და ჭაბუკები. ამიტომ, ბუნებრივია, საუბარი წარიმართა, როგორც მწერლის ნაწარმოებებიდან, ისე კონკრეტული, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან გამომდინარე პრობლემებზე.

ეს იყო მართლაც გულახდილი საუბარი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, კონკრეტულად იმაზე, თუ რა როლი ეკისრება რწმენასა და ნდობას ახალგაზრდობის, მისი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში, როგორ ავაგებ საზოგადოება პიროვნების რწმენაზეშეფუძნული ადამიანის სახით, რას უნდა წარმოადგენდეს სტუდენტისათვის მეცნიერის, პროფესორ-პედაგოგის მორალური სახე.

მწერლის ავტორიტეტს, ბუდეკ ღირსეული ადგილი ეჭირა ჩვენი ახალგაზრდობის, მოზარდი თაობის ცხოვრებაში. ამჯერადაც ბერამ ფანჯიკიძის სტუმრობა, ის ატმოსფერო, რომელიც ამ შეხვედრამ შექმნა, ნოყიერ ნიადაგს იძლეოდა გულახდილობისა და პირდაპირი საუბრისათვის, ბევრი ნაკლისა და ხარვეზის გამოსაშუურებლად. ამიტომ ამ გადაცემაში მარტო სატელევიზიო სტუდიაში მიწვეული ახალგაზრდები. როდი მონაწილეობდნენ, ეს იყო მწერლთან მთელი რესპუბლიკის ქალაშვილებისა და ჭაბუკების გულახდილი საუბარიც.

ეს ტელეგადაცემები შესანიშნავად უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს, კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს ტელევიზიის ავტორიტეტს, მის მაღალ დანიშნულებას — იყოს პროპაგანდისტიც და მასების ორგანიზატორიც კომუნისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ნ. ჯაველიძე.

სატელევიზიო გადაცემების მაღალი დანიშნულება

ნოდარ ფუფაძის გმირები ქვეყნის სცენაზე

ამ დღეებში თეატრალური ლენინგრადი გაეკნო ლენინური პრემიის ლაურეატის ნოდარ ფუფაძის „ეროვნული ფიქრი". ამ მოთხრობის მიხედვით დადგმული სპექტაკლი მაყურებელს უჩვენა ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრმა. საინტერესო ფორმით არის წარმოდგენილი ომამდელი თბილისის ცხოვრების სურათები.

სპექტაკლი დადგა ვ. ტაკეიმ. ცნობილი მსახიობებთან ერთად როლებს ასრულებენ ისინიც, ვინც პირველ ნაბიჯებს დგამს ცეკვაზე. ნოდარ ფუფაძის ნაწარმოებები, საქართველოს კულტურის სამინისტროს მონაცემებით, ქვეყნის თხუთმეტზე მეტ ქალაქში ფფმბა. წინათ კუბინბეგის ფრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლი „მარადისობის კანონი" ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. ეს სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება ავსტრიულ ბარნაულისა და ირაკლიანის დრამატულ თეატრებში, სადაც სპექტაკლის დასადგმელად მიწვეული არიან რეჟისორები დ. ცისკარიშვილი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. ეორანია. (საინფორმაციო).

• •

„საბჭოთა ხელოვნება" № 3

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალის რედაქცია მიესალმება საქართველოს ლენინური კომკავშირის XXXII ყრილობას ამ მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილი მოწინავე წერილით. ნომერში ძირითადად გამოქვეყნებულია ახალგაზრდა ავტორთა მასალები თანამოკალეზე.

„საბჭოთა მუსიკის ჰუმანური პათოსი" — ასე ჰქვია ჟურნალში გამოქვეყნებულ ბ. ორეოლიკის წერილს. კინოსტუდია „ქართული ფილმის" გაერთიანება „დებიუტის" შემოქმედებითს ნაბიჯებზეა საუბარი ზ. აბაშიძის წერილში „პირველი ნაბიჯები". რუბრიკით „შემოქმედებითი პორტრეტები". ნომერში დაბეჭდილია ნ. არველაძის წერილი „დიდ გზაზე".

მკითხველი ჟურნალში გაეცნობა აგრეთვე ე. ოკუჯავას, ლ. ფიფერიას, მ. გეგიას, თ. მუშკუდიანის, ვ. ბეგიაშვილის, ნ. გურაბანიძის, ნ. ყელეტის, ო. შალამბერიძის, ვ. ხიდაშელის და სხვათა წერილებს ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე.

• •

ᲘᲣᲕᲘᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). უწერის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მაკიეთ-ხიდეშლების განყოფილების ძიძოველეობის ფერმაში იშვიათი შემთხვევა მოხდა. მწველავ სულიკო ხიდეშელისთვის მინენილმა ძროხამ ორი ხბო მოიგო.

ტყუბის ცალები თანაბარი წონისანი არიან და ნორმალურად იზრდებიან. მთ გაძლიერებული მეთვალყურეობა დაიწესეს.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲭᲐᲛᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝᲑᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘᲗ აპრილის დადგომა ნამდვილი გაზაფხულის მოძრძანებას ვეუწყებს. ეს არის ბუნების გაფურჩქვნისა და სოფლის მეურნეობის სამუშაოთა ინტენსიურად განაღების დრო.

საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა აპრილში მარტთან შედარებით 3-6 გრადუსით მაღალია, დაბლობ რაიონებში მერყეობს 8-13 გრადუსის ფარგლებში, მთებში — 6_დან 9 გრადუსამდე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ წლებში ი ნორმისაგან მკვეთრად განსხვავდება ხოლმე. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ყველაზე ცივი აპრილი იყო 1974 და 1978 წლებში, ხოლო ყველაზე თბილი — 1975 წელს.

ტემპერატურის ამსოლუტური ხშირად იტყვიან: ქვასაცით ცივაო. არ არის მართალი. ქვები დღისით მიღებულ სითბოს ღამით ვაძლევენ. ამ დროს სითბო გაცილებით საჭიროა. მაგრამ სად ქვები და სად ყვავილები? საქმე ის არის, რომ ყვავილები კიდევ უფრო ხარბად ნთქავენ მზის სითბოს, შემდეგ კი გვიდღეანან ბევრ საკეთილ, ი?ვიათ სილამაზესა და დიდებულ სურნელს, უსაზღვრო სიხარულსა და ბედნიერებას, და კიდევ... სითბოს. მისხალ-მისხალ, დიდი რუდუნებით აგროვებენ ყვავილები ბეგს შორის შემორჩენილი თოვლის უკანასკნელი ლაქები.

დათბა. მზემ ტყისპირები, ველ-მინდვრები სულ ერთიანად გაანრო. ფუხეშ მოშრალივ მუხის ყავისფერი ფოთლები ზარშანდელ მწვანე ზაფხულსა და ნარინგისფერ შემოდგომაზე გვეჩურჩულებიან. დიდი ხანი აღარ უწერიათ მათ აქ ყოფნა. მალე ტყვიისფერ ცას ელვის გველები დასერავენ, დაიქუხებს მაისის მეხი და, ანაზდეულ, ჩქეფით წამოვა ნიაღვარი. წაილეკება მარშანდელი ნაყვალეები, ფაფუნდებიან ბუნების მწვანე ფაფუნამები — ნორჩი ბალახი, მაგრამ ეს მაისში, ახლა კი...

მაღდარ აპრილს დღეში ცხრა პარასკევი აქვს, ვინ მოთვლის, ალაოინდან მწუხრამდე რამდენჯერ იცვლის ამინდს. მასობრივად ამოყვეს თავი გაზაფხულის პირველყვავილებმა. უკმაყოფილოდ შეირხა მუხის ბებერი ფოთოლი. ვინ გამეგო და ფაარდეი მოხუცის უდრტვინველი ფაუდრეოდა? ეს ანლადგაღვიძებული ენძელა შესდგომია ფოთლის მომამშანებულ კიდეს. სრულიად ნახსა და უსუსურ ნორჩ ყვავილს კადნერად მიუბჯენია თავი ფოთლისთვის, იგი სულ უფრო ზემოთ სწევს ტყის ძველ ხალიჩას. გადატრიალდა ბოლოს და ბოლოს მუხის ფოთოლი, გადაიფურცლა ზამთრის წოგის ბოლო ფურცელი. ამაყად წამოიმართა მასზე ენძელა — გაზაფხულის გულადი მზეგრავი. მედიდურად ასწია თავი ზემოთ პატარა ყვავილმა. ლურჯი თვალებით გაბედულად შეაცქერდა შეუფოთლავ ტყეში მიმობნეულ მზის ათინათინებულ სხივებს.

ᲛᲐᲠᲢᲘ ცისფერია, აპრილი — ლურჯი. ლურჯი — მოლურჯო გუბე-ტბორებით, ლურჯი — იებითა და ცისთვალებით — გაზაფხულის ამ კეთილი თვალებით.

და ტყეც, სხვისთვეი, აყურული, უჩრდილო, იღიმება, ქლიავისფერ იბინდება ლურჯი შორეთით. პირველი წვიმით განბანილია ტანწერწეტა ნიფლნარი. გზებზე ვერცხლურობს ანტიკური სასახლეთა სვეტებივით ჩამოსხმული მათი დიდებული ზრონი. ბოლმა პირქუშად ჩამოქანდეთა ხეებს შორის შემორჩენილი თოვლის უკანასკნელი ლაქები.

ᲛᲐᲠᲢᲘ-აპრილის ცივ მთვარიან ღამეებში გამოცვმული სითბოთი ყვავილები აჩქარებენ გაზაფხულის მოსვლას. ეს პოეტური ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ. მეცნიერები მკაცრი ლოგიკის ხალხია. ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ სწორედ ისინი მივიდნენ ასეთ დასკვნამდე. ჩრდილოეთის როდოდენდრონები ჩვენებურ ალუბები მოყვავილე დეკის ახლო მონათესავე მცენარეებია. გარკვეული ოდენობით თურმე ისინი მარტოლაც აგროვებენ მზის ენერგიას, შემდეგ კი დღე-ღამის ცივ მონაკვეთში ასხივებენ მას.

ნუთუ ჩვენს ნახსა და გაგებულ ენძელასაც ასეთი მაგიურ ძალა აქვს? ვინ იცის... ერთი კი უდავოა, ბუნებაში თითქოს გაზაფხულის სუნთქვა არც კი იგრძნობა, მორცხვი და სუსტი ენძელა უტიფრად არღვევს თოვლის ჭქელ საფარს, არღვევს და დღის სინათლეზე გამოპყავს ლურჯი აპრილის დამამშვენებელი მთელი გუნდი პირველყვავილებისა, ია, ყოჩივარდა, ღვინა, ცისთვალა, თეთრყვავილა, ყაზახა, ფუტრისულა და, ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სხვა. ბევრი მათგანი ადრე გაზაფხულზე აშშვენებს დედაბუნებას. ამ დროს ჯერ კიდევ არ შეუკრავთ ხეებს ქოროვდა, ტყეს თავგეშმბათი, არც ხეხილს გამოუფეთქავს ყვავილთა ნამქერი.

მზემ გაზაფხულზე მიწა გააბო
და გაანილა იამ თვალები...
ყოჩივარდებმა შემოირბინეს
ჩვენი სამშობლოს ტყე და ბალები...

ბუნებისადმი რა მოწიწებითა და მადლიერებას გრძნობით არის განმსჭვალული ანა კალანდაძის ეს სტრიქონები. გაზაფხულის ეშეშარიტი მეხოტბე თავის ლამაზ ლექსს გაზაფხულის ტყის პირველ ყვავილებს უძღვნის.

...მარტი ცისფერია, აპრილი — ლურჯი. ლურჯი — უსასრულოდ ლაჟვარდოვანი ცით, ლურჯი იებითა და ცისთვალებით — გაზაფხულის ამ ლამაზი თვალებით. გაბედულად შესცქერიან ისინი მზის ვარვარა დისკოს, თვალთა და ნეკერჩხლთა წვიფელ დასადამამდე მოსულ კვირტებს და ამტომაც თვით მთებშიც, უძირო ხევებსა თუ ჭალეწრეულებშიც ზეწარანთა სულ უფრო ხეელი სიფრიფანა ღა გამქვირვალე ხდება თოვლის საფარის ბოლო ხალები.

არნ. ბეგეშკორი.



ᲞᲣᲠᲯᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ «ᲝᲥᲠᲝ» ᲠᲝᲚᲘᲐ

გაზეთ „პრავდის" 29 მარტის ნომერში სათაურით „მთავარი „ოქრო" როდია" დაიბეჭდა ს. ტოკარევის სტატია, რომელშიც მიმოხილულია ფიგურული ცეკვარაობაში გამოული სეზონის შედეგები. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ სპორტის სპორტში წარმოჩენდა რიგი ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ეხება ფიგურული ცეკვარაობის განვითარების შესაძლებლობებს ამერკავკასიის რესპუბლიკებში, იგი წერს: „სოსმენოსა და საქართველოში მოზარდი მეცადინეობენ ერთობ შემცირებული ფართობების მქონე მოედნებზე. და ეს იმ დროს, როცა ამ რესპუბლიკების სპორტმენებზე განსაკუთრებული მსჯელობა უნდა გამართოს, ვინაიდან ეტყობა, რომ კაკალის ქედებს მიღმა ფიგურისტთა ახალი რეზერვები იმალება — ფიგურისტები ტემპერამენტიანი, მგზნებარე, მოკაკმაზე...

სტატიის ავტორი შენიშნავს იმასაც, რომ ქვეყნის მწვრთნელთა კორპუსში არიან საინტერესო და ერთთავად ძიებაში მყოფი პედაგოგები ვ. კუკინსკი ლენინგრადში, გ. ზმიევსკაია ოდესაში, ბ. ეუდლეები ტოკოკვები ტბილისში, ი. ჯაფარიძე თბილისში, რ. აოეთინიანი ერევანში.

„პრავდაში" დასტამბულ წერილში კიდევ მრავალ პრობლემაზეა გამახვილებული ყურადღება, რომელთა გათვალისწინება ჩვენც გვმართებს. ამიტომ „ალა მენენსტარ" კორესპონდენტმ სოხოვა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დავთ პერტენავს გამოეთქვა აზრი ჩვენს რესპუბლიკაში ფიგურული ცეკვარაობის განვითარების შესაძლებლობების და, კერძოდ, რის გაკეთებას ამბობენ იმისათვის (ანდა რა გვიშლის ხელს), რომ ამ სახეობის სპორტში ღირსეულად წარმოვიჩინოთ თავი. აი, რა გვითხრა მან:

— წერილის ავტორი მართლაც სამართლიანად მიუთითებს იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებმაც ამ ბოლო ხანს ინიშნა თვი ფიგურულ ცეკვარაობაში. ცხადია, ჩვენმა რესპუბლიკამაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ამ სახეობის სპორტის განვითარებაში. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენი სპორტსმენები ერთიანერთ არასანდაღერად მოეცალნენ ვარჯიშებენ. ერთი სიტყვით, ჩვენს ფიგურისტებს ჯერ კიდევ არ აქვთ წვრთნის შესაფერისი პირობები და ამიტომ მათი ვარჯიშისთვის სხრ კავშირის ფიგურული ცეკვარაობის ნაკლებ საკეთილ ადგილებზეა ორიენტირებული. ეს ეხება ფიგურული ცეკვარაობის შემდგომ განვითარების საკითხი, დავსახეთ შესაბამისი ღონისძიებანი.

და მაინც, ფიგურულ ცეკვარაობაში შესაძლებელი წინსვლა რომ ვიგრძნოთ, საჭიროა უწინარესად ეს ფიგურული ცეკვარაობა შეიტანოს სტანდარტულ, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სავარჯიშო ბაზა. ამისათვის მოვალენი ვიწოდებენ და ყურადღებასაც ვაქცევ ამ ფენომენზე, ჩვენი ვალია ამ საქმეში მოკავშირეებისთვის გულისხმიერად ვიზრუნოთ. უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები: საქართველოს პროფსაბჭოს „გადაწყვეტილებით თბილისში ორგზის ზამთრის სპორტის სასახლე და, რაც მთავარია, პროექტი უკვე შემუშავებულია. ცხადია, ამ დიდი და საშვილიშვილო საქმის ხორცშესხმას გარკვეული დრო დასჭირდება. მეტიცაა ბა არ უნდა იმას, რომ, როცა ეს სასახლე მწყობრში ჩადგება, მუშაობის დიაპაზონიც გაფართოვდება და მოზარდ ფიგურისტთა მომზადების დონეც შესაბამისად ამაღლდება.

• •

18 ᲤᲔᲑᲒᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲛᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კ. ბესკოვმა განაცხადა, რომ მოსფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პროგრამის შესაბამისად აკადემიური ორი ამხანაგური მატჩი გასამართავად 18 ფეხბურთელი გამემზადება. — ჩვენ 14 აპრილს შეეხვედრები არგენტინის ნაკრებს. არგენტინაში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სიაში ამჟამად არიან: **მეკარეები** — რენატ დასაევი (მოსკოვის „სპარტაკი") და ვლადიმერ ჩანოი (ყიევის „დინამო"); **მცველები** — ფენგნერ სოლოკოვლაძე, ალეგესანდრე ჩიკაძე, ოლდარ ბიზანიშვილი (სამეფე — თბილისის „დინამო"), ანატოლი ფეტისენკო, სერგეი ბოლოტნიკოვი და სერგეი ბალტაჩა (სამეფე — ყიევის „დინამო"); **ნახევარმცველები** — ლეონიდ ბურიაკი, ანდრია ბალი (ორივე — ყიევის „დინამო"), ხორეენ ოპანესიანი (ერევნის „არარატი"), თენგიზ ბერეზოვი (მოსკოვის „სპარტაკი") და ვიტალი დარასელია (თბილისის „დინამო"); **თავდამსხმელები** — სერგეი ანდრეევი (დონის როსტოვის ასკ), იური გავრილოვი (მოსკოვის „სპარტაკი"), რამაზ შენგელია, დავით ყიფიანი (ორივე — თბილისის „დინამო") და ოლეგ ბლოხინი (ყიევის „დინამო").

რედაქტორი
ბ. ბედიანეიშვილი.

PIRVELI STUMREBI

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲚᲗᲐ ბაზამ „ოსეთმა" უკვე მიიღო წლევანდელი სეზონის პირველი დამსვენებლები. ესენი არიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ბალტიის-პირეთის მრრომელები... ბაზაში არის მყუდრო საცხოვრებელი ოთახები, სპორტული მოედნები, საეკურაო ადგილი. დამსვენებლებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ სოძეელის ძეგლები, სხვა ღირსშესანიშნაობანი. და რაც მთავარია, მათ იზიდავს მთის ჯანსაღი ჰაერი, მომაჯადოებელი სილამაზე.

ტურბაზა „ოსეთის" დამსვენებელთა რიცხვი წლითიწლობით იზრდება. შარშან აქ ისვენებდა 17800 კაცი, წელს კი 19000 დამსვენებელს მიიღებენ.

Ჯ. ᲑᲐᲑᲐᲠᲐᲫᲔ,
საქინფორმის კორ.

MEMILIONE MGZAVRI

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ამ ორიოდე წლის წინათ ვ. მახარაძის გალეერ ქუჩებში დამკვიდრდა სატროლეიბუსო მოძრაობა. ამ სახეობის საქალაქო ტრანსპორტმა მგზავრებში დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ესაა ის ტროლეიბუსი უკვე გადაიყვანა მემილიონე მგზავრი. იგი გაბლავთ ქალაქის № 2 საშუალო სკოლის მეთე კლასის მოსწავლე თამრიკო რონინაძეა. ამ მემილიონე ახალგაზრდა მგზავრ გოგონას გადაეცა საბინაო-კომუნალური საწარმოო კომბინატის ტროლეიბუსების სამმართველოს სამახს